

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

შ ო თ ა ჯ ა ნ ჯ დ ა ვ ა

ანდრობენდუციტი და ინსულინრეზისტენტობა სიმსუქნით
დასაგადებულ მამაკაცებში

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მედიცინაში



2015 წ.

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია

შპს “ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი” – ს ბაზაზე

**სამეცნიერო ხელმძღვანელი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ.
ელენე გიორგაძე**

ექსპერტები:

ენდოკრინოლოგი, მედიცინის დოქტორი ქეთევან ასათიანი

ენდოკრინოლოგი, მედიცინის დოქტორი მაკა კორინთელი

თბილისი

2015 წელი

სარჩევნი

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები	4
შესავალი	5
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა	15
თავი 2. კვლევის მასალა და მეთოდები	54
თავი 3. კვლევის შედეგები	65
თავი 4. კვლევის შედეგების განხილვა	102
დასკვნები	107
პრაქტიკული რეკომენდაციები	108
ბამოყენებული ლიტერატურა	109

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები

1. სმი – სხეულის მასის ინდექსი
2. თტჰ – თირეოტროპული ჰორმონი
3. მეტ. სინდრომი – მეტაბოლური სინდრომი
4. დსლ – დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები
5. მსლ – მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები
6. ორა – ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრია
7. ცნს – ცენტრალური ნერვული სისტემა
8. ob/ob – obese/obese
9. ფმჰ – ფოლიკულმასტიმულირებელი ჰორმონი
10. მჰ - მალუთეინიზირებელი ჰორმონი

შესავალი

პრობლემის აქტუალობა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლო წლების მანძილზე სიმსუქნის გავრცელებამ ეპიდემიურ მაჩვენებელს მიაღწია [1] ასე მაგალითად, აშშ-ში 1991-1998 წლებში სიმსუქნით დაავადებულ პირთა რაოდენობა 12%-დან 17.9%-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში მამაკაცთა უშიშროებისა და სასქესო ფუნქციის დარღვევების რაოდენობამ მოიმატა 11.7%-დან 17.9%-მდე. 2004 წლის მონაცემებით სიმსუქნის გავრცელება აშშ-ში დაახლოებით 30.6%-ს შეადგენს, ბოლო წლებში აღინიშნება ზრდის მკვეთრი ტენდენცია [2].

ასევე აშშ-ში შეისწავლეს სპერმის რაოდენობრივი მაჩვენებლები. ყოველწლიურად 1.5% სპერმის რაოდენობის დაქვეითება დაფიქსირდა. ამ მონაცემის საფუძველზე ივარაუდეს, რომ სიმსუქნე გავლენას ახდენს მამაკაცის სასქესო ფუნქციაზე და შვილოსნობაზე, აღნიშნულის გამო ეს საკითხი მეცნიერებისათვის აქტუალური გახდა. მიზანშეწონილად ჩაითვადა მისი საფუძვლიანი შესწავლა და კორექციის განსაზღვრა სიმსუქნესა და მამაკაცთა შვილოსნობას შორის. [3]

სიმსუქნის გავრცელება 20-დან 72 წლამდე ასაკის მქონე მამაკაცებში მკვეთრად მატულობს ბოლო ათწლეულების მანძილზე. ეს ტენდენცია დასაბამს მე-19 საუკუნიდან იღებს და იმ დროისათვის შეადგენდა მოსახლეობის 10%-ს, ხოლო 2000 წლის მონაცემებით კი - 30%-ს [4]. მას შემდეგ ფართო მასშტაბური, სარწმუნო კვლევა არ ჩატარებულა. სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად ესპანეთში, ამ დაავადების ფართო გავრცელება აღინიშნება. ჭარბი წონა 49%-ს შეადგენს, ხოლო სიმსუქნე კი - 31,5 %-ს. ვისცერალური სიმსუქნე ორგანიზმში მრავალ ენდოკრინულ დარღვევას იწვევს, მათ შორის ინსულინრეზისტენტობას, გლუკოზის დონის მატებას, რომელიც თავისთავად უარყოფითად აისახება და კორექტირებს ტესტოსტერონის დონესთან [5]. სიმსუქნის, როგორც კარდიოვასკულური დაავადების რისკ-ფაქტორის როლი ჯერ ადრეულ ეტაპზე იქნა ნაჩვენები, განსხვავებით მეტაბოლური სინდრომის სხვა დამოუკიდებელი

კომპონენტებისაგან დამოუკიდებლად კერძოდ ჰიპერლიპიდემია და მაღალი არტერიული წნევა. პროფესორ მეიგისა და ავტორების მიერ ნახაი იქნა, რომ მეტაბოლური სინდრომი ზრდის შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს, ხოლო თავისთავად მეტაბოლური სინდრომი და ინსულინრეზისტენტობა წარმოადგენენ პოპულაციისათვის მაღალ რისკ-ფაქტორებს გულ-სისხლძარღვრთა დაავადებების განვითარების თვალსაზრისით[6].

აბდომინური სიმსუქნე, რომელიც ფასდება წელის გარშემოწერილობით რისკ-ფაქტორი, როგორც მეტაბოლური სინდრომის განვითარებისათვის, ასევე ტესტოსტერონის დონის დაქვეითებისათვის[7]. სვარბერგისა და ავტორთა [8,9,10] მიერ ჩატარებულ კვლევაში, სადაც მონაწილეობდა 1548 მამაკაცი, ასაკობრივი დიაპაზონი იყო 25-48 წლამდე, დადასტურებულ იქნა თავისუფალი ტესტოსტერონის და სექსუემბოჭავი გლობულინის დონის უკუკავშირის კორელაცია წელის გარშემოწერილობასთან. ავტორთა ჯგუფმა ივარაუდა, რომ სმი და წელის გარშემოწერილობა ანთროპომეტრული მაჩვენებელია, რომელიც უკუკავშირის პრინციპით ენდოგენური ტესტოსტერონის დონეს შეესაბამება.

ასევე დადასტურებული იქნა სარწმუნო უკუკორელაციური კავშირი არსებობს ტესტოსტერონსა და სიმსუქნეს შორის. ამ შემთხვევაში უკუკავშირის დონე, ასევე დაკავშირებულია ლეპტინის კონცენტრაციასთან სისხლში ჭარბი ცხიმის არსებობისას. არსებობს ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ჭარბი წონის მქონე მამაკაცებში ლეპტინის მაღალი დონე კავშირშია მაღლეთინიზირებელი ჰორმონით სტიმულირებული ანდროგენების პროდუქციასთან, რომელიც ენდოგენური ანდროგენების სინთეზის სუპრესიას იწვევს. ამას გარდა, ნაჩვენებია, რომ პაციენტებს მცირედ მომატებული კორტიზოლის დონით აქვთ მაღალი სმი, წელის გარშემოწერილობა და ასევე დაბალი ტესტოსტერონის დონე, რომელიც ამ შემთხვევაში გამოწვეულია ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზის სისტემაზე კორტიზოლის დამთრგუნველი მოქმედებით.

ასევე არსებობს ტესტოსტერონის დაბალი დონის სხვა მიზეზი სიმსუქნის დროს, რაც განპირობებულია ტესტოსტერონის გაზრდილი არომატიზაციით ესტრადიოლად ცხიმოვან უჯრედებში, რაც თავისთავად წარმოადგენს უარყოფით კავშირს ლუთეოტროპული ჰორმონისათვის და ასევე იწვევს ტესტოსტერონის სეკრეციის კიდევ უფრო დაქვეითებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვისცერალური სიმსუქნის მქონე მამაკაცები ჩართულნი არიან ეგრეთწოდებულ მანკიერ წრეში [11,12,13].

გოგონებში სიმსუქნე დაკავშირებულია სწრაფ სიმაღლის მატებასა და ადრეულ პუბერტატულ განვითარებასთან, ხოლო მამაკაცებში საპირისპიროდ სიმსუქნე - სასქესო განვითარების შეფერხებასთან არის კავშირში [14]. პროფესორ ვანგის მიერ შესწავლილ იქნა 8-დან 14 წლის ასაკამდე მყოფი -1501 ბიჭი და 1520 გოგონა; კვლევამ დაადგინა, რომ ნაადრევად მომწიფებულ ბიჭებში სიმსუქნის გავრცელება იყო ნაკლები, ხოლო ნაადრევად მომწიფებულ გოგონებში კი პირიქით, მისი გამოვლინება იყო სიმაღლე. აღნიშნული შემდგომში უარყოფილ იქნა პროფესორ ლარონის მიერ, რომელმაც ვერ გამოავლინა მნიშვნელოვანი სხვაობა ამ ორ ჯგუფში. თუმცა, ლარონის კვლევაში პაციენტთა რაოდენობა შედარებით მცირე იყო [15].

მეორე მხრივ, პუბერტატული პერიოდის განვითარება უარყოფითად მოქმედებს ადიპონექტინის სეკრეციაზე ცხიმოვან ქსოვილში. როგორც ვიცით ადიპონექტინს აქვს ანტიდიაბეტური და ანტიათეროგენული მოქმედება. მრავალჯერადი რეგრესირებადი მოდელით ნაჩვენებია, რომ ადიპონექტინის დონე მამაკაცებში უარყოფითად კორელირებს პუბერტატული განვითარების დონესთან ($R^2=.206$, $P<.001$), სხეულის მასის ინდექსთან ($R^2 = .034$, $P=.021$), და ტესტოსტერონის დონესთან ($R^2=.039$). აღნიშნულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ადიპონექტინის დონე გარკვეულწილად მიუთითებს პუბერტატული განვითარების ასაკს, რომელიც კიდევ უფრო გამოხატულია სიმსუქნის მქონე მამაკაცებში ვიდრე საკონტროლო ჯგუფში [16].

არსებული მრავალი კვლევის მიუხედავად ჯერ კიდევ საკამათოა რამდენიმე საკითხი, აქედან გამომდინარე -

კვლევის მიზანია:

მამაკაცებში ტესტოსტერონს, ინსულინრეზისტენტობასა და სიმსუქნეს შორის კორელაციის შესწავლა; ასევე ტესტოსტერონის კორელაციის დადგენა კარდიომეტაბოლურ რისკ-ფაქტორებთან, ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპიის გავლენის შესწავლა ინსულინრეზისტენტობაზე, სიმსუქნესა და სპეციფიურ კარდიომეტაბოლურ რისკ-ფაქტორებზე.

კვლევის ამოცანები:

კვლევის მიზნის განსახორციელებლად დაისახა შემდეგი ამოცანები:

1. იმ პაციენტების შესწავლა, რომელთაც აღნიშნებოდა სიმსუქნე და ანდოგენდეფიციტის სიმპტომები, რათა შემდგომში გამოგვეკვლია შრატის ტესტოსტერონის დონე.
2. აღნიშნულ პაციენტებში შეგვესწავლა, ინსულინრეზისტენტობა, სმი და ასევე ის ფაქტორები, რომელიც ზრდის კარდიომეტაბოლური დარღვევების რისკს.
3. ტესტოსტერონს, სიმსუქნესა და ინსულინრეზისტენტობას შორის კორელაციის შესწავლა.
4. ტესტოსტერონსა და კარდიომეტაბოლურ რისკ-ფაქტორებს შორის კორელაციის გამოვლენა.
5. ლეპტინსა და ტესტოსტერონს შორის კორელაციის გამოვლენა.
6. ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპიის გავლენის დადგენა სიმსუქნის მქონე მამაკაცებზე, მეტაბოლური დაავადებისადმი გაზრდილი რისკით.
7. შეგვესწავლა ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპიის გავლენა ლეპტინის დონეზე.
8. გვეჩვენებინა ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპიის გავლენა დისლიპიდემიურ ცვლილებებზე.
9. დაგვედგინა ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპიის გავლენა HOMA-IR ინდექსის დონეზე.
10. შეგვესწავლა ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპიის გავლენა სმი-ის ინდექსზე.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე

- კვლევის შედეგები მოგვაწოდის ინფორმაციას შრატის ტესტოსტერონის დონის შესახებ, სიმსუქნის მქონე მამაკაცებში;
- აღნიშნული კვლევა პირველია საქართველოში, რომელიც იკვლევს არა მარტო ტესტოსტერონის კორელაციას კარდიომეტაბოლურ რისკ-ფაქტორებთან, არამედ სიმსუქნესთან.
- ქართველ პოპულაციაში ნაჩვენები იქნება ტესტოსტერონის დეფიციტისათვის დამახასიათებელი ცვლილებები ლიპიდურ ცვლაზე და ლეპტინის დონეზე სიმსუქნის მქონე მამაკაცებში.
- ასევე ნაჩვენები იქნება ქართველ პოპულაციაში ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპიის გავლენა სმი-ზე, HOMA-IR ინდექსზე, ლიპიდურ ცვლაზე და ლეპტინზე სიმსუქნით დაავადებულ მამაკაცებში

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

1. ანდროგენდეფიციტი სიმსუქნის მქონე მამაკაცებში დაკავშირებულია კარდიომეტაბოლური დაავადების გაზრდილ რისკთან საქართველოს მოსახლეობაში. კვლევა ხელს შეუწყობს, მიღებულ იქნას უახლესი ინფორმაცია აღნიშნული მდგომარეობის შესახებ და ასევე დასაბამს მისცემს ჩატარდეს უფრო ღრმა და ხანგრძლივი კვლევები.
2. კვლევის ფარგლებში გამოვალენთ საქართველოს მოსახლეობისთვის დამახასიათებელ კარდიომეტაბოლურ მახასიათებლებს და ტესტოსტერონის კორელაციურ კავშირს.
3. კვლევაში არსებული მასალა და მიღებული შედეგები მნიშვნელოვანი ღირებულების იქნება პრაქტიკოსი ექიმებისათვის, კერძოდ ნაშრომი მათ დაეხმარება სიმსუქნით დაავადებული მამაკაცების მკურნალობის სწორ მართვაში.

დისერტაციის დასაცავად გასატანი ძირითადი დებულებები

1. არსებობს კორელაცია შრატის ტესტოსტერონს და სმი - ს შორის. სმი-ის ზრდასთან ერთად კლებულობს შრატის ტესტოსტერონის დონე და პირიქით.
2. არსებობს კორელაცია შრატის ტესტოსტერონს და ინსულინრეზისტენტობას შორის. ინსულინრეზისტენტობის ზრდასთან ერთად კლებულობს შრატის ტესტოსტერონის დონე და პირიქით.
3. შრატის ლეპტინი უარყოფითად კორელირებს თავისუფალი ტესტოსტერონის დონესთან.
4. მამაკაცებში მეტაბოლური სინდრომით აღინიშნება ტესტოსტერონის დაბალი დონე შრატში, ვიდრე მამაკაცებში მეტაბოლური სინდრომის გარეშე.
5. ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპია სიმსუქნის მქონე მამაკაცებში აუმჯობესებს სმი, ინსულინრეზისტენტობას, და კარდიომეტაბოლურ რისკ-ფაქტორებს.
6. ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპია სიმსუქნის მქონე მამაკაცებში აქვეითებს ლეპტინის დონეს.

პუბლიკაციები:

1. ჰიპერლექტინემია და კარდიო-მეტაბოლური მახასიათებლები;
თ. ზერეკიძე, შ. ჯანჯღავა, ლ. უჩავა, ქ. ასათიანი, ე. გიორგაძე;
ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა №4, 2014, გვ. 57-63;
2. ანდროგენდეფიციტი და ინსულინრეზისტენტობა სიმსუქნით
დაავადებულ მამაკაცებში.
შ. ჯანჯღავა, ლ. უჩავა, ე. გიორგაძე, ქ. ასათიანი, თ. ზერეკიძე;
№4, 2014, გვ. 70-77;
3. Hyperletinemia May Protect From Cardio-vascular Complications: A Small
Georgian Study;
T. Zerekidze, Sh. Janjgava, K. Asatiani, E. Giorgadze; Maced J Med Sci;
doi. org/10.3889/MJMS.1857-5773.2014.0433;
4. Influence of testosterone replacement therapy on metabolic disorders in male
patients with type 2 diabetes mellitus and androgen deficiency.
Janjgava S, Zerekidze T, Uchava L, Giorgadze E, Asatiani K. Eur J Med Res.
2014 Oct 23;19(1):56
5. Influence of Testosterone Replacement Therapy on Metabolic Disorders in
Male Patient with Type 2 Diabetes Mellitus and Androgen Deficiency.

Shota Janjgava, Tamar Zerekidze, Lasha Uchava, Elene Giorgadze, Ketevan Asatiani, Macedonian Journal of Medical Sciences.

<http://dx.doi.org/10.3889/MJMS.1857-5773.2014.0451>. published on November 05, 2014.

6. „Serum Leptin Concentration with Body Fat Distribution in Georgian Population”; First International Diabetes and Obesity Forum, Athens, Greece, 21-23 of October 2010.
7. “Androgen Deficiency and insulin resistance in obese male patients”; First International Diabetes and Obesity Forum, Athens, Greece, 21-23 of October 2010)
8. “Obesity, Insulin Resistance and Their Correlation with Testosterone Levels In Male Patients”; International Journal of fertility & sterility, 2011 - Volume 5, Suppl. 1, p: 25-26. Royan International Twin Congress 13th Congress on Reproductive Biomedicine 8th Congress on Stem Cell Biology & Technology; Teheran; Iran.
9. “Androgen Deficiency and Metabolic Syndrome in Male Patients”; Abstract book p: 53-54. 3rd Central European Congress on Obesity; Olsztyn, Poland

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

1. დისერტაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე; 123 გვერდზე; ძირითადი ნაწილი მოიცავს 108 გვერდს; შედგება 4 თავისაგან, შეიცავს დასკვნებს და პრაქტიკულ რეკომენდაციებს;

2. გამოყენებული ლიტერატურის სიას (146 ლიტერატურული წყარო) 15 ცხრილს და 25 გრაფიკს)

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 სიმსუქნე და მასთან დაკავშირებული სასქესო ჰორმონების ცვლილებები

სიმსუქნით დაავადებული მამაკაცისათვის დამახასიათებელია ჰორმონალური ხასიათის ცვლილებები, კერძოდ ჰიპერესტროგენული ჰიპოგონადოტროპული ჰიპოგონადიზმი. ამ დროს როგორც თავისუფალი, ასევე საერთო ტესტოსტერონის დონე დაბალია. ინტრააბდომინური და კანქვეშა ცხიმი დღეისათვის ასოცირებულია ტესტოსტერონის დაბალ დონესთან [17,18,19]. მიჩნეულია, რომ ცენტრალური სიმსუქნე კავშირშია სისხლში მოცირკულირე ანდროგენების დონესთან. ანდროგენების დაქვეითება პირდაპირპროპორციულად კორელირებს სიმსუქნის ხარისხთან, რაც უფრო მაღალია სიმსუქნის ხარისხი, მით უფრო დაბალია ტესტოსტერონის დონე ასევე სიმსუქნის დროს მამაკაცებში მცირდება თირკმელზედა ჯირკვლის მიერ სინთეზირებული ანდროგენების დონეც [20].

ჰიპოანდროგენიზმის მიზეზი სიმსუქნის დროს არის მულტიფაქტორული. პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია ესტროგენების მაღალი დონით გამოწვეულ მეორეულ ჰიპოგონადიზმთან (უკუკავშირის პრინციპით), ასევე მცირდება სექსუემბოჭავი გლობულინის დონე, რომლის

მიზეზიც არის შეუცვლელი გამოყოფის ფონზე საერთო ტესტოსტერონის დონის დაქვეითება. წონა უარყოფითად კორელირებს ტესტოსტერონის დონესთან და ტესტოსტერონი/ესტრადიოლის ფარდობასთან [21]. ესტრადიოლი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით სიმსუქნის მქონე მამაკაცებში მომატებულია [22].

არომატიზირება C19 ანდროგენების, როგორც არის ტესტოსტერონი და ანდროსტენდიონი არის ნაბიჯი ესტროგენის ბიოსინთეზისათვის, რომელიც კატალიზდება არომატაზული ფერმენტებით, რომელსაც CYP19 გენი გამოიმუშავებს [23], რაც უფრო დაბალია ანდროგენის კონცენტრაცია, ესტროგენები მით უფრო ბიოლოგიურად აქტიურები არიან და ასევე მათი სინთეზის დონეც. რაც უფრო მაღალია ესტროგენის დონე სიმსუქნის მქონე მამაკაცებში, მით უფრო იზრდება პერიფერიული ანდროგენების ესტროგენად კონვერტაცია, რაც გონადოტროპინების სეკრეციაზე უარყოფით უკუკავშირს იწვევს. ესტროგენებს აქვთ მნიშვნელოვანი ბიოლოგიური როლი ჰიპოფიზის და ჰიპოთალამუსის აქტივობაში.

ესტროგენის რეცეპტორი (ERA და ERB) წარმოდგენილია ჰიპოთალამუსის რამოდენიმე ბირთვში და ჰიპოფიზის გონადოტროპინების გამომყოფ უჯრედებზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის ნაწილობრივ წარმოადგენს ჰიპოთალამო-ჰიპოფიზარული ღერძის ერთ-ერთ მაკონტროლებელ ფაქტორს. ესტროგენი მოქმედებს გონადოტროპინ რილიზინგ ჰორმონზე, რომელიც შემდგომ თავისთავად გავლენას ახდენს გონადოტროპულ ჰორმონებზე, კერძოდ, მაღუთეინიზირებელ და ფოლიკულმასტიმულირებელ ჰორმონთა სინთეზზე. ჭარბი წონის დროს ჰიპოთალამუსის სტიმულაციური ზემოქმედება გონადოტროპინებზე ქვეითდება, შესაბამისად მაღუთეინიზირებელი ჰორმონის დაბალი დონის გამო მცირდება ტესტოსტერონის დონეც. მეორე მხრივ, არომატაზების ზემოქმედებით ქვეითდება ტესტოსტერონის დონე, რის შედეგადაც ესტროგენების მაღალი დონე კიდევ უფრო თრგუნავს გონადოტროპულ ჰორმონებს, რაც საბოლოო ჯამში მანკიერ წრეს ქმნის [24].

ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ესტროგენები არომატაზას მეშვეობით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ანდროგენების დონის დაქვეითებაში დამტკიცდა დაკვირვებით, რომელიც განხორციელდა არომატაზების ინჰიბიტორის გამოყენებით სიმსუქნით დაავადებულ მამაკაცებში. 10 ჭარბი წონის მქონე მამაკაცი ტესტოსტერონის დაბალი დონით და ჰიპოგონადიზმის კლინიკური სიმპტომებით ჩაერთო კვლევაში. 6 კვირის მანძილზე პაციენტებს უტარდებოდა მკურნალობა ლეტრაზოლით. 6 კვირაში ტესტოსტერონის დონემ 6-ჯერ მოიმატა ბაზალურ მაჩვენებელთან შედარებით (7.5 ± 1). დაქვეითდა მოციურკულირე ესტრადიოლის დონე 120 ± 20 pmol/l-დან 70 ± 9 pmol/l-მდე. ორივე სტეროიდული ჰორმონის ცვლილება სტატისტიკურად სარწმუნო იყო ($P < .001$).

არომატიზირებით გამოწვეული სტეროიდული ცვლილებების დროს არ შეიმჩნეოდა სექსუემბოჭავი გლობულინის მნიშვნელოვანი ცვლილება. აღნიშნულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა არსებული თეორია არომატაზებთან დაკავშირებით და საფუძველი ჩაუყარა არომატაზების ინჰიბიტორების გამოყენებას სიმსუქნით დაავადებულ მამაკაცებში ჰიპოგონადიზმის სამკურნალოდ [25].

ასევე, რამდენიმე მკვლევარი ემხრობოდა თეორიას, რომლის მიხედვითაც ინსულინრეზისტენტობა დაკავშირებულია ტესტოსტერონის დაბალ დონესთან. პროფესორი თსაი და თანაავტორების კვლევაში ნაჩვენებია, რომ ბაზალური ინსულინისა და C-პეპტიდის დონე უარყოფით კორელაციაშია ტესტოსტერონის საერთო და თავისუფალ მაჩვენებელთან [19]. ამდგვარი კავშირი აღინიშნა სექსუემბოჭავ გლობულინთან და ინსულინრეზისტენტობასთან პროფესორ სტელატოს და თანაავტორების კვლევაში [26]. სექსუემბოჭავი გლობულინის დონის დარეგულირების შემდეგ უცვლელი რჩებოდა ტესტოსტერონისა და ინსულინრეზისტენტობის უკუკავშირი. აღნიშნული უკუკავშირის მიზეზი ჯერ კიდევ უცნობია. ამავე კვლევამ ცხადყო, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 - ის მქონე პაციენტებში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, საშუალოდ იყო დაქვეითებული

ტესტოსტერონის დონე. პროსპექტული კვლევების ანალიზმა პროფსორ დინგისა და თანაავტორების მონაწილეობით აჩვენა, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 -ის განვითარების რისკი 42%-ით დაბალია ტესტოსტერონის ნორმალური დონის მქონე პაციენტებში (RR=0.58, 95% CI: 0.39 to 0.87), ტესტოსტერონის დაბალი დონის მქონე პირებთან შედარებით [27].

მესამე მნიშვნელოვანი თეორია შემდეგში მდგომარეობს: ჰიპოანდროგენიზმის მიზეზი შეიძლება იყოს ძილის ანოე სიმსუქნით დაკავშირებული მამაკაცებში. პაციენტებს აქვთ ფრაგმენტული ძილი. ნანახია, რომ მათ, ვისაც ფრაგმენტული ძილი აღენიშნება “ღამის ტესტოსტერონის მატება” აქვთ [28]. ძილის ანოეს მქონე პაციენტებს, ახალგაზრდა და საშუალო ასაკის საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ტესტოსტერონისა და მალუთენინიზირებელი ჰორმონის დაბალი დონე აქვთ. ასევე განისაზღვრა, რომ ძილის ანოეს მქონე პაციენტებში დილის ტესტოსტერონის დონე უფრო დაბალია, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

პროფსორ შემპლე და თანაავტორების მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოიკვეთა, რომ ძილის ანოეს მქონე პაციენტებს წონის კლებასთან ერთად ტესტოსტერონის დონის მატება აღენიშნება. ამ დაკვირვებამ აჩვენა, რომ ძილის ანოე მონაწილეობს ტესტოსტერონის დონის კონტროლში. ეს მოხდა ზემო ჩამოთვლილი თეორიებისაგან დამოუკიდებლად [29,30]

სიმსუქნესა და მამაკაცის სასქესო განხორციელებაში წარმართვაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ლეპტინს უჭირავს. როგორც ცნობილია, რეპროდუქტოლოგიაში ლეპტინის როლის დემონსტრირება მოხდა ob-/ob-თაგვებში. ლეპტინი იწვევდა სიმსუქნესა და უშივილობას ორივე სქესის თაგვებში [31]. სიმსუქნე დაკავშირებულია ლეპტინის მაღალ დონესთან. ამ დროს თეთრი ცხიმოვანი ქსოვილი წარმოადგენს ლეპტინის სინთეზის მთავარ წყაროს. და მაინც, საბოლოოდ ლეპტინის გავლენა მამაკაცის სასქესო ფუნქციაზე ცნობილი არ არის [32]. ჰიპოგონადიზმის მქონე

მამაკაცებში ტესტოსტერონის დონის დარეგულირება მომატებული ლეპტინის დონის კლებას იწვევს, ხოლო ლეპტინი თავისთავად მოქმედებს ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზის ღერძზე, რომელიც მალუთეინიზირებელი ჰორმონის სუპრესიას და შესაბამისად ტესტოსტერონის დონის კლებას იწვევს [33]. რამდენიმე კვლევამ თვალნათლივ აჩვენა, რომ ჰიპოთალამო-ჰიპოფიზის ღერძის ცვლილება სიმსუქნით დაავადებულ მამაკაცებში საერთო ტესტოსტერონის და სექსუემბოჭავი გლობულინის დონის მნიშვნელოვან კლებას იწვევს. მკვლევართა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ სექსუემბოჭავი გლობულინის კლება საშუალებას იძლევა დაბალი საერთო ტესტოსტერონის ფონზე თავისუფალი ტესტოსტერონის დონის დარეგულირებისა, მაგრამ მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ სამივე კომპონენტის - როგორც საერთო, ასევე თავისუფალი და სექსუემბოჭავი გლობულინის დონის კლება სიმსუქნით დაავადებული მამაკაცებისათვის დამახასიათებელი [34]. ეს მოსაზრება გამყარდა პროფესორ ზუმოვის და თანაავტორების კვლევით [35,36], რომლის მიხედვითაც გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია სხეულის მასის ინდექსსა და თავისუფალ ტესტოსტერონის დონეს შორის. ასევე მკვლევართა მიერ ნაჩვენებია შესაბამისი თანაფარდობა სექსუემბოჭავ გლობულინთან მიმართებაში რადგან ინსულინი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც აღნიშნული ცილის სინთეზს ამცირებს. რამდენიმე კვლევით ნანახია, რომ თავისუფალი ტესტოსტერონი და სექსუემბოჭავი გლობულინი უკუვავშირში არიან სხეულის მასის ინდექსთან და ინსულინის დონესთან [35].

ზემოსხენებული კვლევების მიხედვით ფოლიკულმასტიმულირებელი და მალუთეინიზირებელი ჰორმონის დონე სიმსუქნის მქონე მამაკაცებში ნორმის ქვედა ზღვართან ან ნორმაზე დაბალი იყო. პროფესორების ამარტუდასა და სტრეინის თანაავტორების მიხედვით გონადოტროპული ჰორმონების ნორმალური დონე დაბალი ტესტოსტერონის დონის დროს, მიუთითებს ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზური ღერძის სუპრესიაზე, რაც სუბკლინიკურ ჰიპოგონადოტროპულ ჰიპოგონადიზმს იწვევს. აღნიშნული

მოსაზრების განმარტება მიიღეს სიმსუქნის მქონე პაციენტებზე დაკვირვებით, რომლის დროსაც მალუთეინიზირებელი ჰორმონის პულსური ამპლიტუდა, მიუხედავად პულსური სისხირის ნორმალური დონისა, დაქვეითებული იყო, [37].

პროფესორ ჯეროუსა და თანაავტორების მიერ [38] შესწავლილ იქნა 120 მამაკაცი, რომლებიც დაყოფილ იქნენ სიმსუქნის დაავადებული და მის გარეშე ჯგუფებად, ასევე უნაყოფო და ნაყოფიერი ჯგუფები. სიმსუქნე შეფასებულ იქნა მეტროპოლიტან ცხოვრების დაზღვევის გრაფის მიხედვით მაღალი 135% იდეალური სხეულის წონის და არა სმი-ის ფორმულით. ნაყოფიერების სტატუსი შეფასებული იქნა უნაყოფო ქორწინება 1 წლის განმავლობაში და დარღვეული სპერმოგრამის მაჩვენებლები. ავტორების მიერ ნანახი იყო – იმ მამაკაცებში, რომელთაც ჰქონდათ სიმსუქნე და უშვილობა, მნიშვნელოვნად დაბალი იყო ტესტოსტერონის დონე და ტესტოსტერონი/ესტრადიოლოს ფარდობა არა სიმსუქნის, მაგრამ ნაყოფიერ მამაკაცებთან და ასევე არასიმსუქნის მქონე, მაგრამ უშვილო მამაკაცებთან შედარებით. საინტერესოა, რომ უშვილო/მსუქან მამაკაცებს მნიშვნელოვნად დაბალი ჰქონდა სექსუემბოჭველი გლობულინის დონე, მნიშვნელოვნად მაღალი ბიოშელწევადი ტესტოსტერონისა და ესტრადიოლის დონის პარალელურად. არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი განსხვავება მალუთეინიზირებელ ჰორმონსა და ესტრადიოლთან დაკავშირებით. ამ პაციენტებში ფოლკულმასტიმულირებელი ჰორმონი არ იყო განსაზღვრული. ავტორებმა ივარაუდეს, რომ ეს განპირობებული იყო სექსუემბოჭავი გლობულინის დონის ცვლილებით, რომელიც იწვევს ბიოათვისებადი ტესტოსტერონის და ესტრადიოლოს დონის მატებას. მათ ივარაუდეს, რომ აღნიშნული უდევს საფუძვლად თავისუფალი ტესტოსტერონის დონის დაქვეითებას, რაც იწვევს ცვლილებებს ჰიპოთალამო-ჰიპოფიზურ სისტემაში.

1.2 ინსულინრეზისტენტობა და მასთან დაკავშირებული ანდროგენდეფიციტი

პროფესორ ანდერსონის მიერ დადასტურდა (1994) [39,40] სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი საერთო ტესტოსტერონსა და ინსულინრეზისტენტობას შორის, ასევე მეცნიერ იტელოდის ნაშრომებში მიერ, როგორც საერთო, ასევე თავისუფალ ტესტოსტერონთან გამოვლინდა აღნიშნული კავშირი. პროფესორ გროსმარის მიერ (2006) [41] ნაჩვენებია, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულ მამაკაცთა 43%-ს, აქვს ტესტოსტერონის დაქვეითებული დონე, ხოლო 75%-ს კი დაქვეითებული აქვთ ფორმულით გამოთვლილი თავისუფალი ტესტოსტერონის დონე; შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის შემთხვევაში საერთო ტესტოსტერონი დაქვეითებული იყო მხოლოდ 7%-ში, ხოლო ფორმულით გამოთვლილი თავისუფალი ტესტოსტერონის დონე 20%-ში. პროფესორ სიმონსისა და თანაავტორების მიერ [40] მოწოდებულ იქნა (1997) რომ საერთო ტესტოსტერონის კონცენტრაცია სარწმუნოდ კავშირშია პლაზმის უზმო ინსულინის დონესთან, 2 საათის შემდგომ ინსულინის დონესთან და გლუკოზის დონესთან. მეცნიერების მიერ გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც დაბალი ტესტოსტერონის დონე ინსულინის დონის მატებას იწვევს, რაც ახდენს გავლენას ორგანიზმში ცხიმის გადანაწილებაზე. პროფესორ ოსუნამ და თანაავტორებმა (2006) [42] შეადარეს კორელაციური თავისებურებანი ტესტოსტერონის დონეს - წელის გარშემოწერილობას, სმი-ს, ინსულინს და HOMA-IR ინდექსთან. ყველა აღნიშნულ კრიტერიუმთან შეიმჩნეოდა სარწმუნო უარყოფითი

კორელაცია. ამ კვლევის მაჩვენებლებზე დაყრდნობით კიდევ უფრო გამყარდა ის მოსაზრება, რომ ტესტოსტერონს შესაძლოა “დამცველობითი ფუნქცია” ჰქონდეს მამაკაცის ორგანიზმში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 და ჰიპოგონადიზმი ერთდროულად დიაგნოსტირდება. ჰიპოგონადიზმის მაჩვენებელი სარწმუნოდ მაღალი იყო ისეთ საკვლევ პირებში, რომელთაც ჰქონდათ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ს და მაღალი იყო სმი. დიდ კოჰორტაში 11000 პაციენტზე, რომელიც შესწავლილ იქნა კორონას მიერ (2007) ნაჩვენებია [43], რომ ჰიპოგონადიზმს უფრო მეტად აქვს გამოხატული კორელაცია ვისცერალურ სიმსუქნესთან, შაქრიანი დიაბეტ ტიპი 2-თან შედარებით. ინდოელი მეცნიერი ჰინდას და თანაავტორების მიერ (2004) [44] ნაჩვენებია, რომ 50 წლის ზევით ყოველ 10 წელიწადში 79 წლამდე ჰიპოგონადიზმის გავრცელება იზრდება, 55%-ით 70-79 წლის ჯგუფში, და 24%-ით 50-59 წლის ჯგუფში. პროფესორ პასქუალის მიერ (1991, 1997) [7,11] აღმოჩენილ იქნა, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ს მქონე ინდივიდები უფრო ჭარბწონიანები და მსუქნები არიან და მათ აქვთ მაღალი სარწმუნო რისკი საერთო და თავისუფალი ტესტოსტერონის დაბალი დონისა. ასევე მომატებული აქვთ უზმოდ ინსულინის დონე სიმსუქნის არ მქონე პაციენტებთან შედარებით. მკვლევართა ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ასიდორა (2000) [45] კიდევ ერთხელ დემონსტრირებულ იქნა, რომ ინდივიდებს >30 კგ/მ² სმი-ით სარწმუნოდ მაღალი აქვთ უზმოდ პლაზმის ინსულინი, HOMA-IR ინდექსი და C-პეპტიდი და დაბალი ტესტოსტერონის დონე, იმ პაციენტებთან შედარებით, რომელთა სმი < 30 კგ/მ². ბლოიუნტისა და თანაავტორების მიერ (2005) [46] გამოითქვა მოსაზრება რომ, ცხიმის განაწილება შესაძლოა გავლენას ახდენდეს დაბალი ტესტოსტერონის და მაღალი ინსულინის დონეზე. პროფესორ პიტგლოუდის (2005) [47,48] მიერ ნაჩვენები იქნა, რომ სხეულის ცხიმოვანი ქსოვილის განაწილებას არ აქვს ზეგავლენა ტესტოსტერონის კონცენტრაციასა და ინსულინის მიმართ მგრძობელობაზე, განსხვავებით

სმი-სა და წელის გარშემოწერილობისა. პროფესორ ლაქსონის მიერ ჩატარებული დიდი კვლევის მიხედვით [12] (2003) შესწავლილ იქნა 1986 დიაბეტის არ მქონე საშუალო ასაკის მამაკაცი მეტაბოლური სინდრომის დიაგნოზით. მკვლევართა მიერ ნანახია, რომ რაც უფრო მაღალი იყო ინსულინის დონე მით უფრო დაბალი იყო ტესტოსტერონის დონე, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. გარდა ამისა 2005 წელს გამოტანილია დასკვნა, რომ მაღალი ტესტოსტერონი და სექსუალური გლობულინი ზრდის ინსულინის მიმართ მგრძობელობას და ამცირებს მეტაბოლური სინდრომის განვითარების რისკს. კვლევის შედეგების მიხედვით ნანახი იქნა, რომ ჰიპოგონადიზმი შესაძლებელია იყოს მიზეზი გლუკოზის დონის მატების ვიდრე ჭარბი წონა და სიმსუქნე. ეს დასტურდება იმით, რომ დაბალი საერთო და თავისუფალი ტესტოსტერონის დონე ანუ ჰიპოგონადიზმის მქონე მამაკაცებს, უფრო მაღალი ჰქონდა უზმო ინსულინის და HOMA-IR ინდექსის მაჩვენებელი ვიდრე ჭარბი წონისა და სიმსუქნის მქონე, მაგრამ ჰიპოგონადიზმის არ მქონე მამაკაცებში [49]

1.3 მეტაბოლური სინდრომი და ჰიპოგონადიზმი

მკვლევართა ჯგუფის მიერ 1981 წელს ჰენფელდისა და ლეონჰარდის მიერ გამოითქვა მოსაზრება მეტაბოლური სინდრომის შესახებ [50]. ავტორები ამბობდნენ, რომ მეტაბოლური სინდრომი შედგება გავრცელებული დაავადებებისაგან, კერძოდ: სიმსუქნე, დისლიპიდემია, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, პოდაგრა და ჰიპერტენზია, რომელთა ერთობლიობა ზრდის ათოროსკლეროზის რისკს, სისხლძარღვოვანი პრობლემების, ღვიძლის გაცხიმოვნების, ნაღვლკენჭოვანი დაავადების გაზრდილ რისკს იწვევს. ეს დაკავშირებულია გენეტიკურ თავისებურებებთან, კომბინაციაში გადაჭარბებულ კვებასთან და ფიზიკური აქტივობის შემცირებასთან. ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს მოწოდებული იყო მეტაბოლური სინდრომის განვითარების თეორია, მიუხედავად ამისა დღემდე რისკ-ფაქტორები საბოლოოდ დაჯგუფებული არ არის და საბოლოოდ არ არის დადგენილი მეტაბოლური სინდრომის მახასიათებლები. დღეისათვის მეტაბოლური სინდრომის განსაზღვრება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემდეგია: სიმპტომების კრებული, რომელიც მოიცავს სიმსუქნეს, დისლიპიდემიას, ჰიპერტენზიას და ჰიპერისულინემიას. ზრდასრულების მკურნალობის მესამე პანელში [Third Adult Treatment Panel (ATP III)] ქოლესტერინის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამიდან [National Cholesterol Education Program (NCEP)] და ასევე დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციამ მოახდინა მეტაბოლური სინდრომის განმარტებისა და სიმპტომების მოდიფიცირება ჯანმოს

განმარტებაზე დაყრდნობით. ამას გარდა, მეტაბოლური სინდრომის დიაგნოზის ქვეშ მრავალი საკითხია, რომელიც ჯერ კიდევ დაზუსტებას მოითხოვს, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი შემდეგია – კარდიოვასკულარური დაავადების პრედიქტორის თვალსაზრისით რა უფრო ინფორმატიულია წელის გარშემოწერილობა თუ სმი, თუ ეს პარამეტრები ნაკლებ ინფორმატიულია მრავალ სხვა დარვევებს შორის. რომელიც მეტაბოლურ სინდრომს ახასიათებს. პროფესორ ფერანინის მიერ 2007 წელს ჩატარებული კვლევა [51] ითვალისწინებდა დიაგნოსტიკური კრიტერიუმების დადგენას. თუ რომელი მათგანია უფრო ინფორმატიული კარდიოვასკულარული დაავადების განვითარების თვალსაზრისით. შეისწავლეს პაციენტები ნორმოგლიკემიური მდგომარეობით სიმსუქნის დროს, სადაც განსაზღვრულ იქნა წელის გარშემოწერილობა და ინსულინრეზისტენტობა. 1308 პაციენტის გამოკვლევის შემდგომ ფერანინის მიერ მოწოდებულ იქნა კვლევის შედეგი, რომლის მიხედვითაც არ დადგინდა ერთი აბსოლუტური რისკ-ფაქტორი. კვლევამ აჩვენა, რომ ყველა ზემო ჩამოთვლილი კვლევის მაჩვენებელი დაკავშირებული იყო ცალკეულ პათოფიზიოლოგიურ ცვლილებასთან.

მეტაბოლური სინდრომის განვითარებაში გარკვეულ როლს გეოგრაფიული მდებარეობა, ეთნიკური ფაქტორი, ასაკი და სქესი თამაშობს. მამაკაცების შემთხვევაში, ამ სინდრომის განვითარებაში ასევე მონაწილეობას იღებს ტესტოსტერონისა და სექსუალური ჰორმონების გლობულინის დაბალი დონე [52,53]. მრავალი ავტორის მიერ მოწოდებულ იქნა, რომ ჰიპოგონადიზმი უფრო მატულობს მეტაბოლურ სინდრომთან, ვიდრე ითვლებოდა [54]. ის ასევე შესაძლებელია იყოს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების რისკ-ფაქტორი. როგორც ვიცით ასაკოვან მამაკაცებში ტესტოსტერონის დონე ქვეითდება. ეს დასაბამს აძლევს ასაკობრივ ცვლილებებს, რაც იწვევს მეტაბოლური სინდრომის მაჩვენებლის ზრდას. ავტორთა მიერ ნაჩვენები იყო, რომ პაციენტები მაღალი ტესტოსტერონის დონით შედარებით ნაკლებად იყვნენ მიდრეკილი მეტაბოლური სინდრომის 4 კომპონენტის განვითარებისაკენ დაბალი ტესტოსტერონის მქონე

პაციენტებთან შედარებით. პროფესორ ლაკსონისა და ავტორთა მიერ [12] 1896 დიაბეტის არ მქონე პაციენტში ნაჩვენები იქნა ტესტოსტერონის დონის დაქვეითებისას მეტაბოლური სინდრომის განვითარების მაჩვენებლები, რომელიც უკუპროპორციულად მერყეობდა. ამავე დროს, საპირისპირო შედეგებია პროფესორ ჩენის კვლევაში (2006) [55]. ის ამტკიცებს, რომ საერთო ტესტოსტერონის დონე სავარაუდოდ მეტაბოლურ სინდრომთან არის დაკავშირებული და არა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებასთან.

მეტაბოლურმა სინდრომმა ბოლო წლების განმავლობაში მიიპყრო დიდი ყურადღება, [56] რადგან ის ისეთ მნიშვნელოვან დაავადებებთან არის დაკავშირებული, როგორცაა გულის უკმარისობა, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, [57] ერექციული დისფუნქცია და ა.შ. [58] მეტაბოლური სინდრომი წარმოადგენს 21-ე საუკუნის ჯანდაცვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას [59]. პროფესორ ბატელისა და თანაავტორების კვლევაში [60], რომელიც 100 000 მამაკაცს მოიცავდა საფრანგეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, როგორც PRIME კოჰორტის ნაწილი, დადგინდა, რომ მეტაბოლური სინდრომი ევროპის მრავალ რეგიონში კორონარული დაავადების პრედიქტორია. სიმსუქნე და დაბალი ფიზიკური აქტივობა მეტაბოლური სინდრომის განვითარების რისკ-ფაქტორია. ასევე კარგადაა ცნობილი, რომ სიმსუქნის მქონე პაციენტები უფრო მიდრეკილნი არიან ინსულინრეზისტენტობის განვითარებისაკენ ნორმალური წონის პაციენტებთან შედარებით. თავისთავად ინსულინრეზისტენტობა ტრიგლიცერიდების დონის მატების, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დონის კლების, უხმოდ გლუკოზის დონის მატების და ასევე მაღალი არტერიული წნევის განვითარების პრედიქტორია. ეს მეტაბოლური დარღვევები გადაჯაჭვულია აბდომინურ სიმსუქნესთან, რომელიც ავლენს მეტაბოლური სინდრომის კლასიკურ სიმპტომატიკას [61].

პროფესორ მაკშიდი (2005) ვარაუდობს [62], რომ ჰიპოგინადიზმი დამატებით წარმოდგენს ქვაკუთხედს, რომელიც იწვევს ცვლილებებს

ორგანიზმში და საბოლოოდ ანვითარებს მეტაბოლურ სინდრომს. ავტორს მაგალითად მოჰყავს კვლევა-დაკვირვება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ტესტოსტერონის დაბალი დონე და ასევე სექსუალური გლობულინის დაბალი დონე სარწმუნოდ კორელირებს მეტაბოლურ სინდრომთან. ისევე როგორც ის დაკავშირებულია მეტაბოლური სინდრომის კომპონენტებთან, კერძოდ, სმი, წელის გარშემოწერილობა და ა.შ. პროფესორმა ლაკონმა და თანაავტორებმა (2003) [12] ნაწილობრივ მოახდინეს ჩვენება მამაკაცისა მეტაბოლური სინდრომით, რომელსაც კონტროლთან შედარებით ჰქონდა 19% ნაკლები საერთო ტესტოსტერონი, 11% ნაკლები თავისუფალი ტესტოსტერონი და 18% ნაკლები სექსუალური გლობულინი. ასევე მკვლევართა მიერ ნანახი იქნა სარწმუნო დადებითი კორელაცია C რეაქტიულ ცილასა და მეტაბოლურ სინდრომს შორის [64]. ასევე ასაკის და სმი, საერთო ტესტოსტერონის, თავისუფალი ტესტოსტერონის და სექსუალური გლობულინის შედარებისას ნანახია სარწმუნო უარყოფითი კორელაცია ინსულინრეზისტენტობასთან, გლუკოზასა და ტრიგლიცერიდებს შორის. ასევე გამოვლინდა, რომ საერთო, თავისუფალი ტესტოსტერონი და სექსუალური გლობულინი დადებითად კორელირებდა მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან. ასევე ავტორთა მიერ ნანახია, რომ მამაკაცები ტესტოსტერონის ნორმის ქვედა დონით უფრო მიდრეკილები არიან მეტაბოლური სინდრომის განვითარებისაკენ, ვიდრე ნორმის მაღალი დონით მქონე მამაკაცები.

პროფესორ მიულერისა და თანაავტორების მიერ [52] მოწოდებულია კვლევის შედეგები, რომელიც ადასტურებს წინა კვლევის შედეგებს, და ნაჩვენებია, რომ საერთო ტესტოსტერონი, ბიოთვისებადი ტესტოსტერონი და სექსუალური გლობულინი უარყოფითად კორელირებდა მეტაბოლური სინდრომის განვითარების რისკთან, რომელიც განსაზღვრული იყო ამერიკის ეროვნული ქოლესტერინის შემსწავლელი პროგრამის ფარგლებში. ხაზოვანი რეგრესირების მოდელის მიხედვით ნაჩვენებია იყო, რომ საერთო ტესტოსტერონი, ბიოთვისებადი ტესტოსტერონი და სექსუალური გლობულინი დადებითად კორელირებს ინსულინის მიმართ

მგრძობელობასთან. პროფესორ რობევასა და თანაავტორების მიერ ნანახია (2006) [65], რომ საერთო ტესტოსტერონი უარყოფითად კორელირებდა ინსულინის დონესთან, ინსულინრეზისტენტობასთან და სმისთან პაციენტებში მეტაბოლური სინდრომის მქონე მამრობითი სქესის პაციენტებში. აღნიშნული კვლევები მეტად მნიშვნელოვანია, რადგან გვიჩვენებს ინსულინრეზისტენტობასა და ანდროგენდეფიციტს შორის კავშირს. ამ შემთხვევაში ინსულინრეზისტენტობა გვევლინება, როგორც მეტაბოლური სინდრომის წარმართველი ძალა.

მრავალი ავტორი ამტკიცებს, რომ ანდროგენდეფიციტი წარმოადგენს მეტაბოლური სინდრომის განვითარებისათვის ერთ-ერთ მიზეზს, ხოლო შემდგომში მეტაბოლური სინდრომი თავისთავად განაპირობებს ანდროგენდეფიციტს. პირველი სტანდარტული დევიაციის მეთოდის გამოყენებით 2924 პაციენტში, რომელთაც არ ჰქონდა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ანამნეზი ან კარდიოვასკულური პრობლემა [66], პროფესორ ჰატერმანისა და ავტორების მიერ ნაჩვენებ იქნა სავარაუდო წინამორბედი მაჩვენებლები მეტაბოლური სინდრომისა და ნაჩვენები იყო, რომ სმი და წელის გარშემოწერილობას აქვთ მყარი კავშირი ანდროგენების დონესთან. სმი და წელის გარშემოწერილობა მეტაბოლური სინდრომის განვითარების პრედიქტორად გვევლინება. პროფესორ სვართბერგმა და ავტორებმა ივარაუდეს, რომ წელის გარშემოწერილობას აქვს უფრო მეტი კორელაციური კავშირი მეტაბოლური სინდრომის სხვა კომპონენტებთან ვიდრე სმი-ს. [67, 68], ნაჩვენებ იქნა, რომ არა აქვს მნიშვნელობა რომელი დიაგნოსტიკური მეთოდი იქნება გამოყენებული მეტაბოლური სინდრომის დიაგნოსტიკაში, მაგრამ წელის გარშემოწერილობა ყოველთვის დგას პირველ ადგილზე, სხვა ანთროპომეტრულ კვლევებთან შედარებით. პროფესორ კორონა და ავტორების მიერ ნაჩვენებია [69], რომ მამაკაცები მეტაბოლური სინდრომით სარწმუნოდ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ჰიპოგონადიზმისაკენ, ვიდრე მის გარეშე, ესეთივე მაჩვენებელი იქნა ნანახი არტერიული ჰიპერტენზიის მქონე მამაკაცები. ასევე არსებობს მყარი კავშირი მეტაბოლურ სინდრომსა და შაქრიან დიაბეტს შორის, რადგან მათ

აქვთ რამდენიმე საერთო რისკ-ფაქტორი და სიმპტომი. მესამე ეროვნული ჯანმრთელობისა და ნუტრიენტების შეწავლის დროს პროფესორ სელვინის მიერ რეპორტირებულ იქნა [70], რომ არა მარტო თავისუფალი ტესტოსტერონის და ბიოთვისებადი ტესტოსტერონის კონცენტრაციაა დაკავშირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ს განვითარებასთან, არამედ მის განვითარებაში ასევე დიდ როლს ცხიმოვანი ქსოვილიც თამაშობს. სელვინის ხელმძღვანელობით კვლევამ აჩვენა, რომ ანდროგენდეფიციტი შეიძლება იყოს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ს განვითარების რისკ-ფაქტორი.

რამდენიმე კვლევა წარმოადგენს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ანდროგენ თერაპია აუმჯობესებს მეტაბოლური სინდრომის მდგომარეობას მამაკაცებში პროსტატის სიმსივნის გარეშე. პროფესორ პაგისა და თანაავტორების [71] მიერ შესწავლილ იქნა 70 მამაკაცი 65 წლის ასაკის ზევით პლაზმის ტესტოსტერონი 350მგ/დღ-ს ქვემოთ. პაციენტები დაიყო 3 სამკურნალო ჯგუფად: 1. მხოლოდ ტესტოსტერონით თერაპია, 2. ტესტოსტერონს დამატებული ფინასტერიდი, 3. პლაცებო. მკვლევართა მიერ ნაჩვენებია სარწმუნო შემცირება საერთო ცხიმის მასის პერცენტაჟებში ტესტოსტერონის და ტესტოსტერონ-ფინასტერიდის ჯგუფებში 6, 12 და 36 თვის მონაცემებით საბაზისო მაჩვენებლებთან შედარებით საკონტროლო ჯგუფისაგან განსხვავებით. ასევე ნაჩვენებია კუნთოვანი მასის სარწმუნო მატება და ცხიმოვანი მასის და ლეპტინის დონის კლება პირველ ორ ჯგუფში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ამავე დროს სარწმუნოდ დაქვეითდა ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები 36 თვის მანძილზე, სადაც მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების და უზმოდ ინსულინის მაჩვენებლებმა არ აჩვენა სარწმუნო ცვლილებები მკურნალობის ჯგუფის მიუხედავად. პროფესორ კატზნელსონის მიერ (1996) [72] მიღებულია თითქმის იდენტური შედეგი 36 მამაკაცში, 29-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში, რომელთაც მოგვიანებით ჰიპოგონადიზმის დიაგნოზი დაესვა (ანუ არა თანდაყოლილი). ამ პაციენტებს 18 თვის მანძილზე - 100მგ/კვირაში ტესტოსტერონის ენანტანი ეძლეოდა და ისინი შეადარეს 44 წლის ეუგონადურ საკონტროლო ჯგუფს.

ტესტოსტერონით თერაპიამ სარწმუნოდ შეამცირა სხეულის ცხიმის მასა, გააუმჯობესა კუნთოვანი მასის მდგომარეობა მკურნალობის შედეგად. მიუხედავად სხეულის წონისა და კუნთოვანი მასის გაუმჯობესებისა სარწმუნო ცვლილება არ იქნა ნანახი საერთო ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დონეებს შორის, ხოლო საპირისპირო შედეგი იქნა ნაჩვენები პროფესორ ზგლიქზინსკის მიერ (1996) [73]. მან აჩვენა სარწმუნო დაქვეითება საერთო ქოლესტერინისა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების. ასევე 1996 წელს პროფესორ კატსზნელსონის მიერ ნაჩვენებია ტესტოსტერონის დადებითი ზეგავლენა მაღალი სიმკვრის ლიპოპროტეინების დონეზე. ბოჯესენმა და თანაავტორებმა (2006) [74] აჩვენა კლანფელტერის სინდრომის მქონე პაციენტები, რომელთაც ჰიპოგონადიზმი ჰქონდა. ტესტოსტერონით თერაპიამ არ აჩვენა სარწმუნო ცვლილება სხეულის ცხიმის გადანაწილებაში საკონტროლო არანამკურნალებ ჯგუფთან შედარებით. ამას გარდა, მხოლოდ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დონე დაქვეითდა სარწმუნოდ, ხოლო მეტაბოლური სინდრომის სხვა კომპონენტებში სარწმუნო ცვლილებები არ დაფიქსირდა. ავტორებმა ამ შედეგებზე დაყრდნობით ივარაუდეს, რომ ტესტოსტერონის დოზა აღნიშნულ პაციენტებში არ იყო ადექვატური ჯანმრთელ პაციენტებთან შედარებით. ასევე არ გამოირიცხა სხვა გენეტიკური მიზეზი, რომელიც დღეისთვის არ არის ცნობილი და რომელიც გავლენას ახდენს ლიპიდების მეტაბოლიზმზე და ჰორმონულ პროფილზე კლანფელტერის სინდრომის მქონე პაციენტებში.

14 ანდროგენდეფიციტი და დისლიპიდემია

დისლიპიდემია მეტაბოლური სინდრომის ერთ-ერთი პრედიქტორია, რომელიც ასევე შესაძლოა გავლენას ახდენს სპერმის ხარისხზე, ტესტოსტერონის დონესა და შვილოსნობაზე. პროფესორ რამირეს-ტორეს და კოლეგების მიერ [75] 2000 წელს შესწავლილ იქნა 106 მამაკაცი უშვილო წყვილებიდან, რომელშიც ავტორთა მიერ ნაჩვენებ იქნა დისლიპიდემიის 65%-ნი მაჩვენებელი, ხოლო სიმსუქნის 18%-ს, ჭარბი წონის 30.2%-ს, ჰიპერტენზია 26%, გლუკოზისადმი დარღვეული ტოლერანტობა 15%-ს და შაქრიანი დიაბეტი 4.7%-ს. ასევე კვლევაში წარმოდგენილ იქნა, რომ აღნიშნულ დარღვევებთან კორელაცია არ იყო. კვლევის შედეგად მოწოდებულ იქნა, რომ დისლიპიდემიასა და უშვილობას შორის არსებობს ურთიერთკავშირი, მაგრამ მექანიზმი გაურკვეველია. აღნიშნული დაკავშირებულ იქნა ოქსიდაციურ სტრესთან.

აღნიშნული ჰიპოთეზა გამყარდა პროფესორ შალაბისა და თანაავტორების კვლევაში (2004) [76]. მათ მიერ გამოკვლეულ იქნა მაღალი ქოლესტერინული დიეტისა და ანტიქოლესტერინული თერაპიის გავლენა ფერტილობაზე მამრ თაგვებში. კვლევის შედეგად ნანახია, რომ მაღალ ქოლესტერინულ დიეტაზე მყოფ მამრ თაგვებში სარწმუნოდ დაბალი ფერტილობა, სათესლეების წონა და სპერმის მახასიათებლები იყო, უქოლესტერინო დიეტაზე მყოფი თაგვებისაგან განსხვავებით. მკვლევარები თაგვებს მკურნალობდნენ მაღალი ქოლესტერინული დიეტით ალფატოკოფეროლის (ანტიოქსიდანტი) და სიმვასტატინის გარეშე, ხოლო ის ჯგუფი რომელიც მკურნალობდა ალფატოკოფეროლით ან სიმვასტატინით ან ორივეთი ერთად დაფიქსირდა სარწმუნო მატება ფერტილობის ინდექსის 42.5% დან 71.5%-მდე. ფერტილობის გაუმჯობესება

დამახასიათებელი იყო იმ ჯგუფისათვის რომელშიც გამოიყენებოდა სიმვასტატინი, ხოლო იმ ჯგუფში სადაც მხოლოდ ალფატოკოფეროლი გამოიყენებოდა აღნიშნული მატება სარწმუნოდ მაღალი არ იყო. გარდა ამისა, ყველა სამკურნალო ჯგუფში ნანახი იქნა სარწმუნო მატება სათესლის წონის, სპერმის რაოდენობის, სპერმატოზოიდის მოძრაობისა. სარწმუნოდ დაქვეითდა სპერმის პათოლოგიური ფორმები. აღნიშნული ასპექტის კვლევაში კომბინირებული თერაპია უკეთესი იყო, ვიდრე ცალკეული თერაპია სიმვასტატინისა და ალფატოკოფეროლისა. ავტორთა მიერ ნაჩვენებია არამარტო ფერტილობის დაქვეითება მაღალი ქოლესტერინული ჯგუფის პაციენტებში, არამედ ასევე ნაჩვენებია ანტიოქსიდანტური და ანტილიპიდური თერაპიის გავლენა ფერტილობაზე. აღნიშნული კვლევა დისლიპიდემიით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის როლს ცხადყოფს სათესლეების ფუნქციაზე, რაც ჰიპოგონადიზმს იწვევს.

პროფესორ კაპლანისა და კოლეგების მიერ [77] შესწავილილ იქნა საერთო ტესტოსტერონის დონე 2 ანტილიპიდურ კვლევაში. კოჰორტა დაყოფილი იყო მეტაბოლური სინდრომის მქონე და არ მქონე პაციენტებად. ასევე სუბჯგუფებად სმი-ის მიხედვით. პერსონის კორელაციური გრაფის მიხედვით ავტორმა მოახდინა ჩვენება, რომ არსებობს უარყოფითი უკუკავშირი საერთო ტესტოსტერონის დონესა და სმი-ს შორის მეტაბოლური სინდრომის მქონე და არ მქონე პაციენტებში. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს ბოლო წლებში უცხოურენოვანი ლიტერატურის მატება რომელიც ეხება მეტაბოლური სინდრომისა და ერექციულ დისფუნქციას შორის კავშირს. [78, 69,79] რამდენიმე კვლევის მიერ ნაჩვენებ იქნა, რომ მეტაბოლური სინდრომი ახდენს არამარტო ერექციული დისფუნქციის გაუარესებას, არამედ ერექციული დისფუნქცია შეიძლება მოგვევლინოს მეტაბოლური სინდრომის პრედიქტორად. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომლის მიხედვითაც ერექციული დისფუნქციის პათოფიზიოლოგია დიაბეტის განვითარების პათოფიზიოლოგიის მსგავსია. ამას გარდა, მეტაბოლური სინდრომის განვითარებაში დიდ როლს ჰიპოგონადიზმი თამაშობს [80,69], რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ორი მნიშვნელოვანი

დარღვევის ურთიერთ კავშირს. როგორც უკვე აღინიშნა, ოქსიდაციური სტრესი, როგორც პათოფიზიოლოგიური მიზეზი ერექციული დისფუნქციისა მნიშვნელოვანი პრედიქტორია მეტაბოლური სინდრომის განვითარებისა.

1.5 ანდროგენდეფიციტი და არტერიული ჰიპერტენზია

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია არტერიული ჰიპერტენზიის როლი ერექციულ დისფუნქციაში, ჯერ კიდევ გაურკვეველია არტერიული ჰიპერტენზიის როლი ჰიპოგონადიზმზე. რამდენიმე კვლევაში შეისწავლეს არტერიული ჰიპერტენზიის მქონე მამაკაცები, სადაც ნაჩვენებ იქნა სარწმუნო უკუკავშირი სისხლის წნევისა და პლაზმის ტესტოსტერონის შორის, რომელიც არ იყო ასოცირებული დარღვეულ რეპროდუქციულ ფუნქციასთან [81,82,83]. აღნიშნული კვლევა გვაძლევს ინფორმაციას არტერიული წნევისა და ტესტოსტერონის უკუკავშირის შესახებ, მაგრამ მექანიზმი ამ შემთხვევაში უცნობია. ასევე ზოგიერთი ავტორი ვარაუდობს, რომ შესაძლებელია ანდროგენდეფიციტი იყოს არტერიული ჰიპერტენზიის მიზეზი, რაც არტერიების შევიწროებითაა გამოწვეული. ამას გარდა, სხვა კვლევაში აღწერილია პაციენტები, რომელნიც ანდროგენ-დამთრგუნველ თერაპიაზე იმყოფებოდნენ. მათ გაზრდილი ქონდათ აორტისა და არტერიების შევიწროების ხარისხი იმავე ასაკის საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ასევე შესწავლილ იქნა ანტიჰიპერტენზიული საშუალებების გავლენა ტესტოსტერონის დონეზე. კვლევამ აჩვენა, რომ ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტები არ ახდენენ სარწმუნო გავლენას ტესტოსტერონის დონეზე [84,85,86]. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვადასხვა კვლევები, რომლებიც არტერიული წნევისა და ტესტოსტერონის დონეს შორის კავშირს ცხადყოფენ, საბოლოოდ მაინც უცნობია ამ ორი სიმპტომის ურთიერთკავშირის მექანიზმი.

1.6 ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპიის ეფექტები

პროფესორმა ჩენმა და თანაავტორებმა [87] შეისწავლა ანდროგენ-დამთრგუნველი თერაპიის გავლენა სხეულის საერთო მასაზე. მკურნალობა 1-5 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. კვლევაში ჩართული იყო 62 მამაკაცი პროსტატის სიმსივნის დიაგნოზით. აღინიშნა სხეულის საერთო წონის სარწმუნო მატება. პროფესორ სმიტის მიერ (2002, 2006) ნაჩვენებია ანდროგენ-დამთრგუნველი თერაპიის გავლენა სხეულში ცხიმოვანი ქსოვილის გადანაწილებზე კვლევის დაწყების წინ და შემდგომ შეფასდა სხეულის მდგომარეობა. პაციენტებს აღნიშნული თერაპია პროსტატის სიმსივნის გამო 12-48 კვირის მანძილზე უტარდებოდა. ავტორთა მონაცემებით სარწმუნოდ მოიმატა ცხიმის მაჩვენებელმა, სმი და სხეულის საერთო წონამ. თითქმის იდენტური მაჩვენებელი აჩვენა საადისა და ჰაიდერის მიერ 2008, 2007 [88] წელს ჩატარებულმა კვლევამ, რომლის მიხედვითაც შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში იგივე თერაპიაზე წონის მნიშვნელოვანი მატება შეიმჩნეოდა. სტოჩის მიერ ამას გარდა ნაჩვენებ იქნა პროსტატის სიმსივნეს მქონე პაციენტები, რომლებიც 6 თვის მანძილზე მკურნალობას გონადოტროპინ რილიზინგ ჰორმონის აგონისტით იტარებდნენ (19 პაციენტი) და ასევე მკურნალობის გარეშე მყოფი 41 პაციენტი. სუპრესიულ თერაპიაზე მყოფ პაციენტებში გამოვლინდა კუნთოვანი წონის სარწმუნო კლება და ცხიმოვანი მასის ზრდა, იმ პაციენტებთან შედარებით რომლებსაც მკურნალობა არ უტარდებოდა.

პროსტატის სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს, რომლებიც ტესტოსტერონის დამთრგუნველ თერაპიას იტარებენ [89], საბოლოოდ ჰიპოგონადიზმი უვითარდება და აქვთ მეტაბოლური სინდრომის და

გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების განვითარების გაზრდილი რისკი. ანდროგენ-დამთრგუნველი თერაპია ჰიპოგონადიზმს იწვევს, რასაც მრავალი კვლევა აჩვენებს, რომლის მიხედვითაც ასეთ პაციენტებში მეტაბოლური სინდრომის განვითარების გავრცელება იქნა შესწავლილი. პროფესორ ბრაგა-ბასარიას და თანაავტორების მიერ [90] შესწავლილ იქნა მეტაბოლური სინდრომის და მისი კომპონენტების გავრცელება პროსტატის სიმსივნის მქონე მამაკაცებში, რომლებიც ტესტოსტერონის დამთრგუნველ თერაპიას იტარებდნენ. შეისწავლეს 20 პაციენტი დამთრგუნველ თერაპიაზე და 18 პაციენტი მის გარეშე, რომელთა მაჩვენებლები ასევე შეადარეს ჯანმრთელ საკონტროლო ჯგუფს. კვლევის შედეგების მიხედვით დამთრგუნველ თერაპიაზე მყოფ პაციენტებში უფრო მაღალი იყო გავრცელება (55%) მეტაბოლური სინდრომისა, ვიდრე მის გარეშე (22%) პაციენტებში და ჯანმრთელი საკონტროლო ჯგუფში 20%. მეტაბოლური სინდრომის კომპონენტები, კერძოდ, სმი, ტრიგლიცერიდები, უზმოდ გლუკოზის დონე სარწმუნოდ მაღალი იყო დამთრგუნველ თერაპიაზე მყოფ პაციენტებში, მკურნალობის გარეშე და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. პროფესორ ლეივის მიერ (2007) [91] აღმოჩენილ იქნა, რომ შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკის შემთხვევათა ფარდობა ტესტოსტერონის დამთრგუნველი თერაპიის შემდგომ 1.36-ით უფრო მაღალი იყო საკონტროლო ასაკობრივ, სტატინით თერაპიაზე მყოფ პაციენტებთან შედარებით.

პროფესორ ალლენისა და თანაავტორების მიერ [92] ასევე შესწავლილია ტესტოსტერონით თერაპია ასაკოვან პაციენტებში და გამოიტანეს დასკვნა, რომლის თანახმადაც ტესტოსტერონით თერაპია აუმჯობესებს სხეულის მასის განაწილებას ორა-ს მონაცემებით; განსაკუთრებით ცხიმოვან მასას პაციენტებში, რომელთაც საწყისი ტესტოსტერონის დონე დაბალი ჰქონდათ. ასევე მათ მიერ მოწოდებულ იქნა, რომ ვისცერალური ცხიმი უარყოფითად კორელირებს ტესტოსტერონის დონესთან. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ სიმსუქნე უფრო დიდ გავლენას ახდენს ტესტოსტერონის დონეზე, ვიდრე ასაკობრივი ცვლილებები ტესტოსტერონზე. საინტერესოა

ასევე ის ფაქტიც, რომ ტესტოსტერონით თერაპია აუმჯობესებს მეტაბოლური სინდრომის კომპონენტებს და ამცირებს კარდიომეტაბოლური დარღვევების რისკს, რადგან მრავალი წლის მანძილზე მიაჩნდათ, რომ ტესტოსტერონი თავისთავად იწვევდა ადრეულ კარდიოლოგიურ დაავადებებს მამაკაცებში, ქალებთან შედარებით. პროფესორ ჰადდის მიერ ჩატარებულმა მეტა-ანალიზმა დაადასტურა [93], რომ ტესტოსტერონით თერაპია არ ზრდის კარდიო-სისხლძარღვოვანი პრობლემების რისკს, არამედ პირიქით, დაბალი ტესტოსტერონის დონე დაკავშირებულ იქნა კორონარული არტერიების დაავადებებთან. დღეისათვის, არ არის მიღწეული საბოლოო შეთანხმება ტესტოსტერონით თერაპიასთან დაკავშირებით. აუმჯობესებს თუ არა იგი მეტაბოლური სინდრომის მდგომარეობას [94].

1.7 შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 და ანდროგენდეფიციტი

